



საქართველოს სალიზინგო კომპანია
GEORGIAN LEASING COMPANY

ობლიგაციების პრეზენტაცია

ივნისი, 2018

- 1 **ობლიგაციების პირობები**
- 2 შპს “საქართველოს სალიზინგო კომპანიის” მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს გეგმა და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები

ობლიგაციების პირობები

ემიტენტი	შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (GLC)
ობლიგაციები	არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული ობლიგაცია
ვალუტა	აშშ \$
შეთავაზების თანხა	10,000,000 აშშ \$
ნომინალური ღირებულება	1,000 აშშ \$
განთავსების მინიმალური ლოტი	10 ობლიგაცია
ვადა	3 წელი
კუპონის განაკვეთი	წლიური 5.5%-6.5% (განისაზღვრება book-building- ის შედეგად)
კუპონის გადახდა	ექვს თვეში ერთხელ
გამოშვების თარიღი	2018 წლის ივნისი
გამოშვების ფასი	ობლიგაციების ძირითადი თანხის (ნომინალური ღირებულება) 100%
შერჩეული ფინანსური დათქმები	<ul style="list-style-type: none"> ვალდებულების აღება: ჯგუფის ჯამური „ვალდებულება“, გარდა ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი არაუზრუნველყოფილი პირობითი ვალდებულებებისა, შენარჩუნებულ იქნას ჯგუფის კონსოლიდირებული აქტივების 80%-ზე (ოთხმოცი პროცენტი) დაბლა; „აკრძალული გადახდები“: 2017 წლის 31 დეკემბერს ან შემდგომ, მაგრამ ემისიის თარიღამდე შესრულებული შესრულებული გადახდები, რომლებიც აჭარბებს: ა) ემიტენტის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 50% -ს; ბ) ემიტენტის მიერ 2017 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ემისიის ან სააქციო კაპიტალის გაყიდვის შედეგად, ან ემიტენტის ნებისმიერი დავალიანების მისივე სააქციო კაპიტალად კონვერტაციით ან გაცვლით მიღებული წმინდა ფულადი სახსრების 100%-ს;
შემოსავლების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებიდან მიღებული წმინდა შემოსავალი გამოყენებული იქნება კომპანიის საოპერაციო საქმიანობის დასაფინანსებლად.
მმართველი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
ლისტინგი	საქართველოს საფონდო ბირჟა
განთავსების აგენტი	სს „გალტ & თაგარტი“

- 1 ობლიგაციების პირობები
- 2 შპს “საქართველოს სალიზინგო კომპანიის” მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს გეგმა და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები

საქართველოს სალიზინგო კომპანიის (GLC) შესახებ


2001 წელს დაარსებული GLC პირველი კომპანია იყო საქართველოში, რომელიც მომხმარებლებს სალიზინგო მომსახურებას სთავაზობდა. GLC არის საქართველოს ბანკის 100%-იან მფლობელობაში. 2017 წლის ბოლოს კომპანიის მთლიანი პორტფელი იყო **47 მლნ ლარი** და ბაზრის დაახლოებით **22%-ს** იკავებდა. 12-ზე მეტ ბიზნესსექტორში დივერსიფიცირებული პორტფელი 260-ზე მეტ კორპორატიულ და 1,000-მდე საცალო მომხმარებელს ითვლის.

2017 წელს კომპანიის შემოსავალი შედგებოდა სამი ძირითადი ბიზნეს მიმართულებისგან, ესენია:


- **კორპორაციული ლიზინგი:**
 - პორტფელი - 36.6 მლნ ლარი;
 - შემოსავალი - 6.8 მლნ ლარი;
 - საშუალო საპროცენტო განაკვეთი - 15%
- **პარტნიორული ავტოლიზინგი კავკასიის ავთომობილთა (CAI)**
 - დაიწყო 2015 წელს;
 - პორტფელი - 8.7 მლნ ლარი;
 - შემოსავალი - 2.8 მლნ ლარი;
 - საშუალო საპროცენტო განაკვეთი - 18%
- **ტურბო**
 - ამოქმედდა 2017 წლის სექტემბრიდან;
 - პორტფელი - 1.2 მლნ ლარი. საპროგნოზო პორტფელი - 26.8 მლნ ლარი 2021 წლისათვის;
 - საპროგნოზო საშუალო საპროცენტო განაკვეთი - 48%

მთლიანი პორტფელი 29%-ითა და 38%-ით გაიზარდა 2016 და 2017 წლებში, შესაბამისად.

შემოსავლის განაწილება, ლარი '000



პორტფელის განაწილება, ლარი '000



ძლიერი მენეჯმენტით განპირობებული ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი

ბაზრის ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი

- მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო: საქართველოს ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი აღმოსავლეთ ევროპაში. 2017 წელს მშპ 5%-ით გაიზარდა და, ამასთანავე, პროგნოზირებულია წლიურად მშპ-ის 5.4%-იანი ზრდა შემდეგ სამ წელიწადში;
- გაფართოების პერსპექტივა:
 - ლიზინგის სექტორი საქართველოში ჯერ კიდევ განუვითარებელია (მშპ-ს მხოლოდ 0.6%); 2017 წელს გატარებული მოგების გადასახადის რეფორმა ლიზინგის ბაზრის შემდგომი ზრდის კარგი წინაპირობაა;
 - განვითარების პოტენციალი მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფებისთვის (საცალო/კორპორაციული);

ზრდაზე ორიენტირებული ბიზნეს სტრატეგია

- შეცვლილი რისკის შეფასების მიდგომა - აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსება, რაც მეტ მოქნილობასა და რისკების უკეთეს მართვას უზრუნველყოფს;
- ახალ ბაზარზე შესვლა - ახალი ბრენდის „ტურბოს“ მეშვეობით კომპანია შევიდა დაბალშემოსავლიან მომხმარებლებზე მორგებულ მანქანების ლიზინგის ბაზარზე, რომელიც განსაკუთრებით მომგებიანია და ამ მიმართულებით პორტფელის განსაკუთრებით დიდ ზრდას ვარაუდობს.

სტრატეგიული პარტნიორობა

- პარტნიორობა მანქანების წამყვან იმპორტიორთან და საცალო მოვაჭრესთან;
- ექსკლუზიური პროდუქტის შეთავაზების შესაძლებლობა
- იმპორტის დაფინანსების სწრაფი, მარტივი და იაფი ვარიანტების შეთავაზება მსუბუქ ავტომობილებზე;
- მაღალი მოგების მარჟა;

მენეჯმენტის ძლიერი გუნდი და აქციონერთა მხარდაჭერა

- მენეჯმენტის გუნდი, ლიზინგის სექტორში ფართო გამოცდილებით;
- ძლიერი კორპორაციული მმართველობა და გაუმჯობესებული ბიზნეს პროცედურები;
- აქტიური მხარდაჭერა კომპანიის 100% წილის მფლობელი ძლიერი აქციონერისგან

სტაბილურად მზარდი პორტფელი და ბაზრის ახალი შესაძლებლობები

კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების ლიზინგი

- მოიცავს მთლიანი პორტფელის 78%-ს 2017 წლის მდგომარეობით;
- მაღალი დივერსიფიკაცია – მომხმარებლები 12-ზე მეტი ბიზნეს სექტორიდან;
- მზარდი პორტფელი - კორპორაციული პორტფელი 2016-სა და 2017 წლებში გაიზარდა 17%-ითა და 26%-ით, შესაბამისად.


ავტოლიზინგი და პარტნიორობა CAI-თან

- ახალი პროდუქტი ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალით;
- ექსკლუზიური კონტრაქტი მეორადი მანქანების იმპორტის და საცალო ბაზრის წამყვან მოთამაშესთან (CAI)
- საქმიანობის პოზიტიური შედეგები - მუშაობის მხოლოდ ორწლიანი პერიოდის შემდეგ პორტფელი 8.7 მლნ ლარია, რაც კომპანიის მთლიანი პორტფელის 19% -ს შეადგენს;

ახალი ბრენდი „ტურბო“

- ახალი სეგმენტი, (რომელშიც კომპანია 2017 წლის სექტემბრიდან შევიდა) დაბალმემოსავლიან მომხმარებლებზე მორგებული მანქანების ლიზინგი, რომელიც განსაკუთრებით მაღალ მარჟიანია;
- ზრდის აგრესიული სტრატეგია: ხუთი ახალი ფილიალი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებზე;
- არაორგანიზებული ბაზარი ზრდის დიდი პოტენციალით კარგად მართული, ფინანსურად ძლიერი კომპანიებისთვის.


პორტფელის განაწილება, '000 ლარი



კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების ლიზინგი - შემოსავლის ხაზი ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალით

- 2017 წელს, კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესის შემოსავლების ხაზი კომპანიის პორტფელის და შემოსავლების ძირითად ნაწილს: 78%-სა და 70%-ს შეადგენდა, შესაბამისად;
- კარგად დივერსიფიცირებული პორტფელი – კომპანიის პორტფელი 12-ზე მეტ სექტორშია გადანაწილებული;
- მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, 2016 და 2017 წლებში აღნიშნებოდა თანხების ჩამოწერის მნიშვნელოვანი დონე, შესაბამისად 0.7 მლნ ლარი და 1 მლნ ლარი. აღნიშნულის მიზეზი კომპანიის სალიზინგო პორტფელში ნაკლებად ლიკვიდური აქტივები იყო; ასევე, გარკვეულ შემთხვევებში აქტივები არაადეკვატურად იყო შეფასებული და ეს პარამეტრი სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული პროდუქტის რისკის შეფასებისას
- 2015 წლიდან, მენეჯმენტის ახალი გუნდი გადავიდა აქტივებზე დაფუძნებულ დაფინანსებაზე, რამაც აქტივების შეფასებისა და მონიტორინგის ახალ ჯგუფთან ერთად მეტი მოქნილობა უზრუნველყო და პორტფელის ხარისხიც გაუმჯობესდა. ზემოთაღნიშნული ჩამოწერები კომპანიის მენეჯმენტის მიერ ერთჯერად მოვლენად განიხილება - აქტივების შეფასების მიდგომის შეცვლის შემდეგ მსგავსი შინაარსის ტრანზაქციები მოსალოდნელი არ არის.
- კომპანიამ ასევე თვისობრივად შეცვალა ჩამორთმეული აქტივების გაყიდვის/რელიზინგის პროცედურა და ვადები.

კორპორაციული ლიზინგის პორტფელი, 2017




პორტფელის ზრდა - კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოები

წელი	პორტფელის მოცულობა, 000 ³ ლარი	ზრდა %	აქტივების ჩამოწერა	ზრდა % ჩამოწერის ეფექტის გარეშე
2015	24,817			
2016	28,991	17%	749	20%
2017	36,617	26%	986	30%

ინოვაციური ავტოლიზინგის სქემა კავკასიის ავტოიმპორტთან ერთად (CAI)

- სტრატეგიული პარტნიორობა მანქანების წამყვან იმპორტიორთან - კავკასიის ავტოიმპორტთან. კომპანია მეორადი ავტომობილების ერთ-ერთი უდიდესი იმპორტიორია და 2004 წლიდან არის წარმოდგენილი ბაზარზე;
- შეთავაზება: მომხმარებლებს სთავაზობენ მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დაფინანსების სწრაფ, ადვილ და იაფ ვარიანტებს, GLC -ს სალიზინგო მომსახურების საშუალებით მანქანების იმპორტირების გზით;
- ამასთანავე, GLC-მ და CAI-მ ერთობლივად დააარსეს ლიზინგის დაზღვევის ფონდი. აღნიშნული ფონდი უზრუნველყოფს GLC-ს რისკის დაფარვას, დეფოლტის 40%-იან ნიშნულამდე;

საილუსტრაციო მაგალითი



დეფოლტის შემთხვევა

- დეფოლტის შემთხვევაში GLC იბრუნებს ავტომობილს
- CAI უზრუნველყოფს აქტივის რეალიზაციას
- განსხვავება დაიფარება დაზღვევის ფონდიდან



„ტურბო“ – ახალი ბიზნეს მიმართულება ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალით

- მიზნად ისახავს შემოსავლების ნაკადების დივერსიფიკაციას და მომგებიანობის გაზრდას ახალ ბაზარზე შესვლის გზით, რომელსაც ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. კომპანიის მიზანს დაბალშემოსავლიანი მომხმარებლების მომსახურება წარმოადგენს;
- არსებულ მოთამაშეებთან კონკურენციის მიზნით GLC კონკურენტუნარიან ფასებს შესთავაზებს კლიენტებს (საშუალო საპროცენტო განაკვეთი 48%, მაშინ, როცა ბაზრის საშუალო განაკვეთი 60%-ია);
- ეს მიმართულება 2017 წლის სექტემბერში დაიწყო კომპანიამ და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 1.2 მლნ ლარის პორტფელი აქვს

რას საქმიანობს ტურბო?

დაბალშემოსავლიანი მომხმარებელი



- მყისიერი ფინანსური/ უკულიონგი
- საშუალო საპროცენტო განაკვეთი 48%
- ლიზინგის თანხის შეფარდება ღირებულებასთან 70%-90%
- ლიზინგის მაქსიმალური ვადა – 5 წელი
- უზრუნველყოფა – მსუბუქი ავტომობილი

დეფოლტის შემთხვევაში, ავტომობილის რეალიზაცია მოხდება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ან გაიცემა ლიზინგით ახალ მომხმარებელზე მინიმალური თანამონაწილეობით


შექმნილი შესაძლებლობები	შედეგი
გაცილებით მაღალი მარჟები, საშუალო წლიური განაკვეთი - 48%	პორტფელის და შემოსავლის დაჩქარებული ზრდა
ფილიალები ოთხ ახალ ადგილზე, ონლაინ გაყიდვის შესაძლებლობა	უკეთესი კომუნიკაცია მომხმარებელთან, კლიენტების გაზრდილი რაოდენობა
დეფოლტის შემთხვევაში უზრუნველყოფა - მსუბუქი ავტომობილი	მეტი ლიკვიდურობა, საკუთრებაში არსებული აქტივის მართვის სიმარტივე
ახალი ბრენდი, მორგებული მომხმარებლების განსხვავებულ ჯგუფზე - დაბალშემოსავლიანი მომხმარებლები;	უფრო დივერსიფიცირებული პორტფელი და ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი
კომპანიის გაზრდილი ცნობადობა ახალი ბრენდის რეკლამირებისთვის ჩატარებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად;	მომხმარებლების გაზრდილი რაოდენობა, პორტფელის სამომავლო ზრდის პოტენციალი;

- 1 ობლიგაციების პირობები
- 2 შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს გეგმა და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები

დარგის მიმოხილვა – ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი

საქართველოს ლიზინგის სექტორის მთლიანი პორტფელი 2017 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა და 90.2 მლნ აშშ \$ შეადგინა (მშპ-ს 0.6%)


ლიზინგის ბაზრის განვითარება მლნ აშშ \$-ში



წყარო: კომპანიის მონაცემები

- საქართველოს ლიზინგის ბაზარი 2012 წლიდან სტაბილურად იზრდებოდა. ამასთანავე, 2017 წელი განსაკუთრებული იყო სექტორისთვის 63%-იანი წლიური ზრდით.
- 2011 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ საქართველოს სალიზინგო სექტორი გაიზარდა და 2014 წელს კრიზისის წინააღმდეგ დონეს მიაღწია. ახალი კანონმდებლობის თანახმად კომპანიებს მეტი სტიმული გაუჩნდათ ლიზინგისთვის, რადგან გაიზარდა საგადასახადო მოქნილობა და გამარტივდა საგადასახადო პროცედურები ლიზინგის მიმღებებისთვის, შემცირდა ეფექტური საგადასახადო განაკვეთები ლიზინგის გამცემებისა და ლიზინგის მიმღებებისთვის, რაც განპირობებული იყო ლიზინგის ბუღალტრულ აღრიცხვაში შეტანილი ცვლილებებით;

ლიზინგის ბაზრის პორტფელი დარგების მიხედვით, 2017 წ




წყარო: კომპანიის მონაცემები

- მშენებლობის, მომსახურებისა და მედიცინის სექტორები ყველაზე ფართოდ იყენებენ სალიზინგო მომსახურებას;
- GLC-ს პორტფელი 12-ზე მეტი ინდუსტრიისგან შედგება. კომპანია ბაზრის საერთო წილის დაახლოებით 22%-ს ფლობს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დარგის მიმოხილვა –ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი, გაგრძელება

- საქართველოში ბიზნესების უმეტესობა მცირე და საშუალო ზომის ადგილობრივი საწარმოებია, რომლებიც ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებში საქმიანობენ. 2006 წლიდან რეგისტრირებული ფირმების რაოდენობა იზრდება. ბოლო 10 წლის განმავლობაში მშპ-ის მკვეთრი ზრდის ფონზე მათი რიცხვი გასამმაგდა.
- ეკონომიკის ზრდის მომავალი წლების პროგნოზი მცირე და საშუალო ბიზნესის შემდგომი გაძლიერების და შესაბამისად, ლიზინგზე მოთხოვნის მატების მოლოდინს აჩენს.


მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვა მლნ აშშ დოლარში



წყარო: საქსტატი

- წინა წელთან შედარებით 2017 წელს მცირე და საშუალო საწარმოების ბრუნვა 14.47%-ით გაიზარდა და 15.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.
- Galt & Taggart-ის პროგნოზის მიხედვით მოსალოდნელია ნომინალური მშპ-ის მატება ამჟამინდელი \$15 მილიარდიდან \$26 მილიარდამდე 2022 წლისთვის (73%-ზე მაღალი ზრდა), რაც შესაბამისად მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ზრდას გამოიწვევს.

მცირე, საშუალო და მსხვილ საწარმოებში დასაქმებულთა შრომის ეფექტიანობა*, '000 ლარი დასაქმებულზე



*პროდუქციის გამოშვება/დასაქმებულთა რაოდენობა

მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მოსახლეობის შეუსაბამოდ დიდ წილს ასაქმებს მათსავე შემოსავლიანობასთან და წარმოების მოცულობასთან მიმართებაში. მსხვილ საწარმოებში შრომის ეფექტიანობა უფრო მაღალია, ვიდრე მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში. ეს გამოწვეულია იმით, რომ მცირე და საშუალო საწარმოებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შედეგით დაბალი მაჩვენებელია. ეს ფაქტი, თავის მხრივ, მიუთითებს ლიზინგის ინდუსტრიის შემდგომი ზრდის შესაძლებლობების არსებობაზე.

- 1 ობლიგაციების პირობები
- 2 შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს გეგმა და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები

საბალანსო უწყისის მნიშვნელოვანი მუხლები 4 წლიანი ბიზნეს გეგმით

თანხები გამოსახულია ლარებში (ათასი)	ისტორიული (აუდიტირებული)		ბიზნეს გეგმის მიხედვით			
	2016	2017	2018	2019	2020	2021
სულ აქტივები	51,159	66,207	102,816	134,674	153,968	164,906
საიდანაჯ						
ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანება (გროსი)	33,556	46,469	85,955	118,757	138,510	148,014
კორპორატიული	28,991	36,617	64,003	84,785	95,984	101,971
საცალო (CAI)	4,565	8,790	13,439	17,023	18,840	19,208
ტურბო	-	1,242	8,513	16,949	23,686	26,834
აქტივები სალიზინგო მიზნებისათვის	11,156	9,446	7,449	7,089	6,829	6,569
სულ ვალდებულებები	47,596	48,514	82,440	106,408	113,286	109,903
საიდანაჯ						
დასაფარი სესხები	17,729	20,180	29,848	53,728	85,594	107,186
გამომშვებული საცალო ფასიანი ქაღალდები	26,905	26,150	50,000	50,000	25,000	-
სულ კაპიტალი	3,563	17,692	20,376	28,266	40,682	55,003
საიდანაჯ						
საწესდებო კაპიტალი	3,180	3,180	3,180	3,180	3,180	3,180
დამატებითი გადახდილი კაპიტალი	2,473	14,895 ¹	14,766	14,766	14,766	14,766
აკუმულირებული ზარალი/გაუნაწილებელი მოგება	(973)	(2,105)	(248)	2,402	10,292	22,708
პერიოდის წმინდა მოგება(ზარალი)	(1,131)	1,855	2,650	7,890	12,416	14,321

¹ კაპიტალი მნიშვნელოვნად გაზრდილია იმის გამო, რომ სს საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის მეორე კვარტალში, სესხი მთლიანად, დარიცხული პროცენტის ჩათვლით გადაკონვერტირდა კაპიტალში 12,004 ათასი ლარის ოდენობით.


ხელშემწყობი აქციონერი – კაპიტალის გაუმჯობესებული სტრუქტურა

თანხები გამოსახულია ლარებში (ათასი)	ისტორიული (აუდირებული)		ბიზნეს გეგმის მიხედვით			
	2016	2017	2018	2019	2020	2021
სულ ვალდებულებები	47,596	48,514	82,440	106,408	113,286	109,903
საიდანაც						
დასაფარი სესხები	17,729	20,180	29,848	53,728	85,594	107,186
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,905	26,150	50,000	50,000	25,000	-
სულ კაპიტალი	3,563	17,692	20,376	28,266	40,682	55,003
სესხების კაპიტალთან შეფარდება	12.5	2.6	3.9	3.7	2.7	1.9

- როგორც აქტივების ზრდაზე დამოკიდებულ ბიზნესს, კომპანიას სჭირდება დიდი ოდენობით დაფინანსება, რათა ხელი შეუწყოს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდას, დააფინანსოს საკუთარი ოპერაციები და დაფაროს ვალეები.
- კომპანიის მთლიანი ვალდებულებები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 48.5 მილიონი ლარი იყო, მთლიანი ვალის კაპიტალთან შეფარდება კი 2.6x-ს შეადგენდა.

- სს „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის ივლისში, კომპანიის სააქციო კაპიტალი 5 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა დაუფარავი სუბორდინირებული ვალის და დარიცხული პროცენტის კონვერტაციის გზით.
- კაპიტალის ამ ინექციამ კომპანიის მთლიანი ვალის კაპიტალთან 2016 წლის 12.5x ნიშნულიდან 2017 წელს 2.6x ნიშნულზე ჩამოიყვანა. მენეჯმენტი მოელის, რომ 2021 წლისთვის ეს შეფარდება 1.9x-მდე დაიკლებს, რაც ამ ინდუსტრიისთვის ძალიან კონსერვატიული (ნაკლებად რისკიანი) მაჩვენებელია.
- მენეჯმენტი აკეთებს დაშვებას, რომ ობლიგაციები, რომელთა დაფარვის ვადა 2020 და 2021 წლებია, საბანკო კრედიტით დაფინანსდება. თუ გავითვალისწინებთ კომპანიის მთლიანი ვალის კაპიტალთან შეფარდების პროგნოზს 2020 და 2021 წლებისთვის, ობლიგაციების დაფარვა, შესაბამისი ვადების დადგომისას, კომპანიისთვის პრობლემა არ უნდა იყოს.

ვალდებულებების განაწილება, '000 ლარი



მოგება-ზარალის უწყისი 4 წლიანი ბიზნეს გეგმით

თანხები გამოსახულია ლარებში (ათასი)	ისტორიული (აუდიტირებული)		ბიზნეს გეგმის მიხედვით			
	2016	2017	2018	2019	2020	2021
სულ საპროცენტო შემოსავალი	6,586	9,827	11,846	18,463	23,926	25,581
ზრდის მაჩვენებელი %		49%	21%	56%	30%	7%
საიდანაც						
კორპორაციული	6,548	6,883	7,241	9,899	11,562	12,207
საცალო (CAI)	38	2,892	2,235	2,673	3,096	3,083
ტურბო	-	52	2,370	5,891	9,268	10,291
საპროცენტო ხარჯი	(3,766)	(3,954)	(4,843)	(7,154)	(8,223)	(8,224)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	2,820	5,873	7,003	11,309	15,703	17,357
წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა %	43%	60%	59%	61%	66%	68%
სხვა საოპერაციო არა-საპროცენტო შემოსავალი	1,218	2,649	5,436	8,230	10,347	11,405
სხვა საოპერაციო არა-საპროცენტო ხარჯები	(3,983)	(5,955)	(8,526)	(10,456)	(12,773)	(13,897)
საიდანაც						
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგოები	(1,043)	(1,208)	(1,745)	(1,914)	(2,015)	(2,062)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,191)	(3,761)	(6,781)	(8,542)	(10,758)	(11,835)
სალიზინგო მიზნებისთვის არსებული აქტივების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	(749) ¹	(986)	-	-	-	-
საოპერაციო შემოსავალი	55	2,567	3,913	9,083	13,277	14,865
საოპერაციო შემოსავლის მარჟა %	1%	26%	33%	49%	55%	58%
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	(1,186)	(712)	(1,262)	(1,194)	(862)	(544)
საიდანაც						
გაუფასურების ხარჯი	(459)	(712)	(1,262)	(1,194)	(862)	(544)
სავადასახადო (ხარჯი)/ბენეფიტი	(727)	-	-	-	-	-
წლის მთიანი წმინდა მოგება/(ზარალი)	(1,131)	1,855	2,651	7,889	12,415	14,321

¹ აქტივები ლიზინგის მიზნებისთვის ჩამოიწერა 0.7 მილიონი ლარისა და 0.9 მილიონი ლარის ოდენობით 2016 და 2017 წლებში შესაბამისად. შედეგად, არსებული აქტივები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით (რაც მისაღებია კომპანიის ამჟამინდელი აუდიტორებისთვის) და მომავალში მნიშვნელოვანი ჩამოწერები აღარ არის მოსალოდნელი.

ზრდის ძირითადი გენერატორები

თანხები გამოსახულია ლარებში (ათასი)	ისტორიული		ბიზნეს გეგმის მიხედვით				CAGR
	2016	2017	2018	2019	2020	2021	2017-2021
სულ აქტივები	51,159	66,207	102,816	134,674	153,968	164,906	26%
საიდანაც							
ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანება (გროსი)	33,556	46,469	85,955	118,757	138,510	148,014	34%
კორპორატიული	28,991	36,617	64,003	84,785	95,984	101,971	29%
საცალო (CAI)	4,565	8,790	13,439	17,023	18,840	19,208	22%
ტურბო	-	1,242	8,513	16,949	23,686	26,834	116%

კორპორაციული

CAI

ტურბო

2021 წლისთვის, '000 ლარი:

- პროგნოზირებული საპროცენტო შემოსავალი: 12,207
- პორტფელის მთლიანი მოცულობა: 101,971
- წილი მთლიან პორტფელში: 69%

2021 წლისთვის, '000 ლარი:

- პროგნოზირებული საპროცენტო შემოსავალი: 3,083
- პორტფელის მთლიანი მოცულობა: 19,208
- წილი მთლიან პორტფელში: 13%

2021 წლისთვის, '000 ლარი:

- პროგნოზირებული საპროცენტო შემოსავალი: 10,291
- პორტფელის მთლიანი მოცულობა: 26,834
- წილი მთლიან პორტფელში: 18%

- მთავარი ზრდის წინაპირობა საშუალო - საპროცენტო განაკვეთის შემცირება 15%-დან 12%-მდე
- აქტივზე დაფუძნებული დაფინანსების სქემა;
- საქართველოს ბანკთან ბევრი „ჯვარედინი გაყიდვის“ შესაძლებლობა

- ექსკლუზიური თანამშრომლობა წამყვან მეორადი მანქანების იმპორტიორ კომპანიასთან
- ერთად დაგეგმილი მარკეტინგული აქტივობები ზრდის ცნობადობის გასაუმჯობესებლად, რომელიც ახლა მიმდინარეობს; (ორივე კომპანიის მონაწილეობით)

- მომხმარებელთა სრულიად ახალი სეგმენტის მოზიდვა;
- მაღალი შემოსავლები ლიკვიდური გირაოთი;
- აქტიური მარკეტინგული სტრატეგია პროდუქტის ცნობადობის გაზრდისთვის;

კომპანიის მნიშვნელოვანი ხარჯების მიმოხილვა


- კომპანიის ხარჯების ძირითადი ნაწილი საპროცენტო ხარჯია – 3,9 მილიონი ლარი 2017 წლის განმავლობაში
- დამატებითი თანხების სესხება 8%-იანი განაკვეთით არის პროგნოზირებული, რაც ბაზარზე ამჟამად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მენეჯმენტის პესიმისტური დასკვნაა.

- ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებებისთვის გაუფასურების ხარჯმა ლიზინგის მთლიანი დებიტორული დავალიანებების 1.5% შეადგინა 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- პორტფელის რისკის განაკვეთი, (PAR rate), 2015 წლის 22.2%-დან 2017 წელს 7.3%-მდე შემცირდა;
- ლიზინგის დანაკარგებისთვის რეზერვირებული იქნა ლიზინგის დებიტორული დავალიანებების 2.81% და 2.25%, შესაბამისად, 2016 წლის 31 დეკემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.


- კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის დანაკარგებმა დაახლოებით 410 ათასი ლარი შეადგინა 2016 წელს ხოლო 2017 წელს კი 600 ათას ლარიანი მოგება აჩვენა
- კომპანიამ გამოიყენა კონსერვატიული მიდგომა 2017-2021 წლების პროგნოზირებისთვის და უცხოური ვალუტის გაცვლის კურსი 2.5/1 (ლარი/აშშ დოლარი) შეფარდებით დაგეგმა

- სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მთლიანი ხარჯების 36% იყო 2017 წელს და ძირითადად შედგებოდა დაზღვევის, იურიდიული და სხვა პროფესიონალური მომსახურების, მარკეტინგისა და რეკლამირების ხარჯებისგან. დაგეგმილია ამ ხარჯის საშუალოდ 27%-იანი ზრდა წელიწადში, რაც აუცილებელი იქნება პორტფელის გაზრდისა და მისი შემდგომი ადმინისტრირებისთვის
- წინა წელთან შედარებით, 2017 წელს ხელფასები და დასაქმებულთა სხვა სარგებელი 165 ათასი ლარით გაიზარდა, საიდანაც 150 ათასი ლარი კომპანიის კარგი შედეგების გამო დარიცხული ბონუსებია. დაგეგმილია ხელფასებისა და სხვა სარგებლის 14%-იანი ზრდა

ხარჯების გადანაწილება ტიპების მიხედვით, 2017



PAR-ის დინამიკა, წლიურად



- 1 ობლიგაციების პირობები
- 2 შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს გეგმა და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 **დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები**

კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი (აუდირებული)

საბალანსო უწყისის მონაცემები, 000' ლარი	2018 - 2 თვე (არააუდირებული)	2017 (აუდირებული)	2016 (აუდირებული)
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,216	1,178	676
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: გასაყიდად გამიზნული	-	-	41
ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნები	45,466	45,424	32,612
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივები	9,487	9,446	11,156
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილ აქტივებზე გადახდილი ავანსები	7,857	6,307	3,259
მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები	-	-	632
ძირითადი საშუალებები	439	413	35
საინვესტიციო ქონება	2,745	2,745	2,488
სხვა აქტივები	1,604	694	260
სულ აქტივები	68,814	66,206	51,159
	72.7%	73.3%	93.0%
ვალდებულებები			
სასესხო დავალიანება	22,252	20,179	17,729
გამოშვებული ობლიგაციები	25,318	26,151	26,905
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	1,479	1,160	2,079
საგადასახადო დავალიანება	246	131	434
სხვა ვალდებულებები	745	893	449
სულ ვალდებულებები	50,040	48,514	47,596
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	3,180	3,180	3,180
დამატებით შეტანილი კაპიტალი	14,905	14,895	2,473
აკუმულირებული ზარალი	821	(250)	(2,104)
სხვა რეზერვი	(133)	(133)	14
სულ კაპიტალი	18,773	17,692	3,563
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	68,814	66,206	51,159



კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი (აუდირებული)

მოგება-ზარალის უწყისი მონაცემები, 000' ლარი	2018 - 2 თვე (არააუდირებული)	2017 (აუდირებული)	2016 (აუდირებული)
ფინანსური შემოსავალი იჯარიდან	1,787	9,827	6,586
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: გასაყიდად გამიზნული	-	-	19
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	58	71
საპროცენტო ხარჯი			
სასესხო დავალიანება	(240)	(1,568)	(1,500)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(305)	(2,386)	(2,266)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,256	5,931	2,910
გაუფასურების რეზერვის ხარჯი	(265)	(712)	(459)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯის შემდეგ	991	5,219	2,451
შემოსავალი ჯარიმებიდან	112	669	985
შემოსავალი საინვესტიციო ქონების იჯარიდან	28	169	169
წმინდა შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	-	257	-
წმინდა შემოსულობა/(ზარალი) უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	68	663	(409)
სხვა შემოსავალი	72	833	383
საოპერაციო შემოსავალი	1,271	7,810	3,579
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(819)	(3,761)	(2,191)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(163)	(1,208)	(1,043)
საიჯარო მიზნებისთვის ფლობილი აქტივების ჩამოწერა	-	(986)	(749)
საოპერაციო ხარჯები	(982)	(5,955)	(3,983)
მოგება (ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	289	1,855	(404)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-	(727)
წლის წმინდა მოგება (ზარალი)	289	1,855	(1,131)
სხვა სრული შემოსავალი, რომლის შემდეგ პერიოდებზე მოგებად ან ზარალად რეკლასიფიცირებაც ხდება	-	-	-
არარეალიზებული შემოსულობა გასაყიდად გამიზნულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე	-	-	14
გასაყიდად გამიზნული საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე რეალიზებული შემოსულობის რეკლასიფიკაცია მოგებაში ან ზარალში	-	(14)	(6)
მოგების გადასახადით დაბეგვრის გავლენა	-	-	1
წლის სხვა სრული (ზარალი)/შემოსავალი, წმინდა	289	1,841	(1,122)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	289	1,841	(1,122)